ფასი 7 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშადური



№ 21. ყოველკვირეული ჟურნალი 1908 წ.

55/189

ქართველი ქველმოქმედნი და მოღვაწენი.

552

ლ ე ვ ა ნ, პ ე ტ რ ე

ძმანი ზუბალაშვილები.

(ყოველწლიური 6000 მან. სტიპენდიის დანიშვნის გამო, ქართველ მოსწავლეთათვის).

Тбилис. фил. ИМЭЛ при ЦК ВКП (б) Библиотека

შავბნელი 1907 წელიწადი.

ახალმა წელმა შემოანათა,
ძველმა იბრუნა უკუ პირია,
წინ შავსა დროშას მიაფრიალებს
და ზედ სწერია: „მოკლეს ილია"!!

ეს წელი არის ყველაზე შავი,
ისტორიაში ჯერ არ ნახული,
ერის სახელის შესარცხვენათ
ქვეყნის მტრებისგან წინ განზრახული...

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეროსტრატებმა ვერ მიაღწიეს
თავის საწადელს—ბოროტს, ვერაგულს...
დიდი ილია უფრო აღმაღლდა,
უფრო მეუფობს ქართველთ სულს და გულს!

კვანწარახი.

როს სავსე მთვარე...

როს სავსე მთვარე ბნელსა მინათებს
და გულს აღმიგზნებს ნეტარებითა,
მაშინ ფრთებს ვისხავ, ცისკენ მივფრინავ,
შევსტრფი ყვავილებს აღტაცებითა!
მთისა მწვერვალებს ვეამბორები,
ტყეში ყურს ვუგდებ ფოთოლთ შრიალსა;
ცხოველი ფიქრი, მალი მფრინავი
თავსა ევლება გრილსა ნიავსა!..
ამ დროს ვივიწყებ მე ქვეყნიურსა,
გულს ვეკონები ტურფა ბუნებას...
კვნესა-ტირილი არ ესმის ყურსა
და მით განვიცდი ბედნიერებას!..

ა. შ—ლი.

მეტეხის ციხე.

გადარეული ხანა.

აწინდელი დრო უნდ ვსთქვა
გასაგებად ძნელი არის,
ყველამ როლი შეიცვალა,
ყველა თვისებურად ჩხავის...
ჩაგრულთა და მჩაგვრელთ შორის
ძალა არის აღვოკატი...
შევარდენი ვიღას ახსოვს,
როს ნავარდობს მაღლა ბატი!..
წყლიდან კიბო ხეზე ადის,
დაცუნცულობს ხალხში მელა,
ყვავ-ყორნები პატივშია,
მხეცს შეხარის ეხლა ყველა!..
მგელი ცხვრებში დასეირნობს,
საქმეს არიგებენ ერთად,
არამზადა, საძაგლები
ხალხს გაუხდათ შემწედ-ღმერთად!..
დაეკარგა ყველას ალღო...
აირია მონასტერი!
ჭკვიანები ჩუმად სხედან...
„საქმიანობს“ ყველა შტერი!..

გერი,

ყურმოკრული საუბრები.

ამას წინად ერთმა გერმანელმა ჟურნალისტმა შემდეგი დასკვნა გამოიყვანა კოცნის მნიშვნელობაზედ; „პატივის ცემა, ამბობს ჟურნალისტი, გამოიხატება ხელზედ კოცნითო, მეგობრობა—ლოყაზედო, მამობრივი ზრუნველობა—შუბლზედო, სიყვარული—ტუჩებზედო, ალერსი—თვალებზედო, მონობა—ფეხებზედ და კრძალვა—ტანისამოსის ბოლოზედო!“

* *
*

ერთს დედას ჰკითხეს: „რათ არიან თქვენი ბავშები მუდამ დაღვრემილი-თვალცრემლიანებიო?“

თვით ვერ მიმხთარვარო, მიუგო დედამ.—მე და ჩემი ქმარი მუდამ ვტუქსავთ და თავში ვუტყაპუნებთ—გამხიარულდით თქვე საძაგლებო, მაგრამ მაინც ვერაფერს ვერ გავხდითო!“

* *
*

ორნი ჩხუბობდენ. მესამე გასაზავებლად მივარდა, მაგრამ თავში კეტი მოხვდა და სისხლი ადინეს.

ძლიერ ვშიშობ, ტვინის ანთება არ მოგვიდეთო,—ანუგეშებდა მოწვეული ექიმი.

მაგისი კი ნუ გეფიქრებათო, მიუგო თავგატეხილმა; მე რომ ტვინი მქონოდა არც იმათ გასაშველებლათ გავირჯებოდიო!..

ნეტარ არს იგი.

ნეტარ არს იგი ძე ამ ქვეყნისა,
ვინც წმინდა მიზანს ემსახურება
და სიმართლისთვის თავ-განწირულად
წინ მიეჩქარის, მიეშურება.
მას თუნდ უმუხთლოს ბედის ვარსკვლავმა
და გაეგმიროს გულის ფიცარი,
ნაღვაწს-ნაშრომის, თავის განწირვის
ხსოვნა დარჩება დაუვიწყარი!

ალ. ჩახუნაშვილი.

ერთგული ძაღლი.

(მიბაძვა).

ძაღლი ღამით დარაჯობდა
ქურდებს ყეფით უფრთხო სმენა—
პატრონებმა მწარედ სცემეს,
„ხალხი რომ არ მოასვენა“.
შემდეგ ღამეს ჩუმად იყო—
ეგ უნდოდათ სწორედ ქურდებს,—
ძაღლი ცემით სულ გაგუდეს,
„ძაღლი ღამით არ უნდ სდუმდეს“!

ა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეგო, ატირდით!

თქვენცა ატირდით, უგულო ქვეგო,
გადმოაფრქვიეთ ცხარე ცრემლები;
წმინდა საქმისთვის ჭაბუკს ახრჩობენ,
ცრემლად უდნება იმას თვალები.
ის მწარედ სტირის, სწუხს, შფოთავს, ღელავს
უსამზღვრო არის მისი წუხილი...
ირგვლივა სუფევს მტარვალთა შორის
შუბლგარეცხილი ურცხვი დუმილი...
მაშ თქვენც ატირდით, უგულო ქვეგო,
გადმოარწყიეთ ცხარე ცრემლია,
მით დაამტკიცეთ, რომ მტარვალთ გული
უსულ-უგულო ქვაზეც ხმელია!

ი. მჭედლიშვილი-

ტუსაღის ოცნება.

ვგლივარ უმწეოთ ციხეში
ხელ და ფეხ შებორკილია;
გულში სიმწარე ჩასხმული,
ცოცხლათ ვარ დამარხულია!
რკინით ჩახლართულ ფანჯრებიც
ფიცრებით დახურულია;
რომ მზის სხივებიც ვერ ვნახო,
ისე ამომხდეს სულია.
ბნელა ციხეში—კუბოა...
ცრუვდება ფიქრი, ოცნება,
ვაჰ, რა მწარეა სიცოცხლე,
სადაც არ გინდა ცხოვრება!
მაგრამ ერთხელაც დრო მოვა...
დავლეწ ამ ციხე—დარბაზსა
და იმის ნაცვლათ აღვადგენ
წმინდა ერთობის ტაძარსა!

ელ. ხ—ა.

საახალწლო ფირმანები

იმერეთს.

უნუგეშოთ არ სტოვებდი,
ზღვაში კენჭებს უგროვებდი,
ესდეკთ მრუდე მოქმედებას
ოფლსა და სისხლს აწოვედი...
როგორც ქრისტე ისე გსაჯეს,
ხორცით მოგკლეს, სულით გტანჯეს...
„დუმაში“ კი იმათ შენთვის
ერთი სიტყვაც არ დახარჯეს...

ტფილ. ქართ. გიმნაზიას.

ბევრი ზამა ცდილობს, რომ დღეს
ძირიანათ ამოგთხაროს,
მაგრამ ნაცვლად იმათ შვილებს
შენ კი აწვდი შენს ტკბილ წყაროს
ეგრეც უნდა! მათს მცდარ ჭკუას
განა ღირს, რომ უგდო ყური?
უგნურივით როს მოშივათ
მაშინ უყვართ ცხელი პური!

ნოშრევანიძე.

ან. ფურცელაძეს.

რა არის იგი დიდება,
რომელსაც ახლავს შურია;
დიდი ილიას ბადლობა
ტყვილა ამაოდ სწყურია
კაცს კაცობა რომ დაეტყოს,
არა კმარა მარტო ნდომა—
შემთხვევით თუ სხვა ხრიკებით
თავმჯდომარის სკამზე ჯდომა!..

Speransa-ს.

დიდი ხანია
ის უგვანია;
სომხის პურსა სჭამს, სომხის ხმალს აქნევს,
ყველასა ჰკიცხავს,
ორ რჯულსა ჰფიცავს...
ლანძღვა-გინებას ცერცვივით აბნევს.
ცელქი და ავი...
ვით შილაფლავი
მართალ ტყუილი ამეული აქვს,
ფულის გულისთვის,
წვრილმან შურისთვის
არვის დაზოგავს მიტომ ყველას სძაგს. .

სამედიატორო სამართალს.

(ვ. გუნიასა და ფ. მახარაძეს დავის გამო)

ნეტა რა ჰქენით, რად დაიბენით?
თქვენი სამჯავრო რითი გათავდა?
იწამეთ ღმერთი, გვაუწყეთ ერთი
ხარბინელთ ფული საიდ წაშავდა?..
ასე ამბობდნენ, ვითომ ლამობდნენ
ამ დავის ნათლად გამოქვეყნებას,
მაგრამ ნამდვილად, ჩუმად, ფარულად
ფიქრობთ თქვენ „საქმის“ ჩაფუჩეჩებას!..

ყარიბს (პეტრე გალეიშვილს).

ბროლეტარებო ყველა ქვეყნისა,
მოგროვდით ჩემთან ნიჩაბ-ფარცხებით,
„მტვერი“ ვაყაროთ ამ ჩვენ ნაღვაწსა—
არ დაინახონ... თორემ ვმარცხდებით!..

მონადირე.

ქვეყნის პატრონნი და ბრძანებელნი.

გერმანეთის იმპერატორი ვილჰელმ II.

რუსეთ-ოსმალეთის მოსალოდნელ ომს საზოგადოების აზრი აბრალებს ვილჰელმ მეორეს, რომელიც აგერ ათი წელიწადია, რაც ოსმალეთს მეგობრობს, საომრად ამზადებს და ბოლოს დროს აქეზებს კიდეც, მცირე აზიის სრულად დასაპყრობად.

ს ა კ ა ლ ა ნ დ ო.

— გამარჯობა ალფეზა! მადლობა ღმერთს რომ მშვიდობით მოგიარია თფილ ქალაქი?

— გაგიმარჯოს, ძამიავ, მარა ნიდისთავლებს კაი სიწამხთრე მოსვლიათ და რაღაი ამისთანა გამარჯობა!

— დედავ! რას ჩივი ალფეზა, კას არ იტყვი რაცხას ახლა შენ-ა.

— რაღა კაი რა ჩვენი დიაკვნისშვილი ნესტორაი დაუხ-ჩვიათ და ჩვენ აფერი გაბვიგია, დაბვასხეს თავსხლაფი და აია-ა... მეტი რა უნდა იყვეს.

— მერედა კალანდაძნებს დეეფსო ყური?

— დეეფსო თუ არა აი ასთე კიადა. ჩეეედი თფილ ქალაქში თუ არა, რაცხა ნიშადურს ყვიროდენ სიწახთრისაგან, მე წამალი მეგონა, დოუძახე და ვკითხე რაის წამალია მეთქი და იმ დედაგაგლეჯილმა კაკალი იგი ადგილი მიჩვენა, საცხა ნესტორაი ჩამოკიდებულია თავდაღმა! ქვეშიდან რაცხა ნაირი მაღალ ქუდიანი, ვოინის ფერშალი უდგა და ცხვირში ასუნებიებდა; ვიცანი ერლანზე. წამივიდა ფერი. ერთი იმისთანა შევხტენი, რომ ხურუჯუნი ჩამომივარდა ფხარიდან, მარა რას ვიზამდი!.

— იმ! დემეფსო ყური, აბია-ა გიგოია, მარა დიაკონს რომელი გოუბედავს მაგის თქმას!

— ვინ გოუბედავს მაი არ ვიცი, მარა ბახმაროზე რომ სახლები დიეწვა მას მერე ჭკუაზე კი არ იყო, რაცხა ეშმაკი დოუთქმევია და, ახლა თლა მოუთავებიათ ხელი!

— მაი მართალია, ჩემო ალფეზა, მარა დროიანათ რომ გაგვგებოდა კას არ უზამდით იმ თფილი ქალაქია თუ რაცხა: შარშან წინ გურია ევიღეთ თვარა ქალაქის აღება რავა აგვიჭირდებოდა, რაცხა ორი ვერსი სიგძე-სიგანე აქს.

— მაი მასთე იქნებოდა, ჩემო გობია, მარა კაი კალანდა კი გოუთენდება დიაკონს!

პოსლიკა.

რ ა გ ი ნ დ ა თ?

(ვუძღვნი ესდეკებს)

არ გვინდა „ავტონომია“,
სხვათაგან შემოღებული,
ჩვენ მიერ უარყოფილი
სხვებისგან მოწონებული.
ჩვენ გვინდა თვითმართველობა
საკანონმდებლო უფლებით,
ქვეყნისა ხელუხლებლობა
ეროვნული თავისუფლებით!
—ეგ ხომა ისევ ის არის
რას ითხოვს ავტონომია,
საქართველოში სუყველა
სწორედ მაგისი მდომია.

ს. გლახაშვილი.

ქართული ხელოვნება



კონსტანტინე ეიფეანი

(35 წლის მოღვაწეობის გამო ქართ. თეატრში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუეტი (ხალხურივით.)

(ტიმოშკა და კარლო ხელი-ხელ გადახვეულნი).

„ჩვენ ვართ და ჩვენი ნაბადი,
გამთენებელი ღამისა,
მოვკვდებით ჯავრი ჩაგვყვება
სამი ლამაზი ერისა.
„ერთია მეტად მალხაზი,
მეორე ლერწამ ტანისა,
მესამე ასეთი არის,
დამყენებელი თვალისა“.
ნეტავი როდის იქნება
ესენი ერთად გარდავქნათ,
დომხალივით აურიოთ
ერთის „ცენტრის“ მონაო შევქნათ!?
რუსეთი მოგვბას ნახავს,
იძლიერებს, იამაყებს,
სოციალიზმიც თანდათან,
ახლოს მოვა, ახლოს დაჰყეფს.
რისთვის გვინდა პოლონეთი,
საქართველო, მოლოროსი,
ის არა სჯობს, რომ გავზარდოთ
ევლოგი და თუნდ ამფროსი?
ჩვენ ვართ და ჩვენი რწმენანი
სანაქებონი „სანდონი“
ვმღერით, ბანს ვაძლევთ ერთმანეთს,
ვით ბულბულნი, იადონნი.

დროებით ბათუმელი.

ქართველი ქველმოქმედი და მოღვაწენი

იაკობ ზუბალაშვილი.

ამაო ცდა.

(რეცენზენტი და მსახიობი)



რა ხანია გუნიასა, ძირს რომ უთხრის ლას ყ-იანი
მაგრამ ტყვილად! ვერას ბახდა ენა მისი ღვარძლიანი!

ზ ღ ვ ა ს თ ა ნ.

(ოცნება)

ანნა მარრისა.

შენ რას მთხოვ? გიმღერო რამე სასიამოვნო ხმა? არა, არაა საჭირო. მე მესმის, შენი თხოვნა, გინდა გაერთო, გამხიარულდე... მიეცე დავიწყებას, შეიშრო თვალებიდან ცრემლები. შენ ეხლა მზათ ხარ იცეკვო, იცინო, იგრიხო, გამაბრაზო და მოთმინებიდან გამომიყვანო შენის ღიმილით და ყველა ეს კი, მხოლოდ იმიტომ, რომ როგორმე მოიშორო, გადიყარო გულიდან ჯავრი. **მხოლოდ უმსგავსო ადამიანები ეცემიან დარდით და ჯავ'ით;** ცდილობენ მის გაზვიადებას... შენ კი წმინდა ხარ, გულუბრყვილო... ჯერ კიდევ ბავშვი... შენ, შენი საკუთარი, კარგი თვისებებიც კი გავიწროებენ, გაწუხებენ და გაშფოთებენ.

მე მოხარული ვარ ყველა ამისი, მაგრამ მაინც გთხოვ გულწრფელობას.

მოდი აქ, დაჯექი ჩემთან ახლოს... ნუ გინდა სიცილი, ნურც სიმღერა... სიმღერა გამბედავი, საამური, ბუნებრივი უნდა იყოს... ყველაზე უწინ გულწრფელობაა საჭირო. მისთვის თვით უფალიც აპატიებს ცოდვებს.

მოდი აქ, მოდი ახლოს... ვიყვეთ დები დრო-

ებით, ცოტა ხანს. მე მოგეხვევი, დაგიწნავ თმას... მოგესაუბრები ჩუმად, ტკბილად, საამურად... შენ კი იტირე... ნუ გრცხვენია ცრემლების. დიდი ბედნიერებაა ვინც იცის ტირილი. ვინც სტირის, იგი სჩივის, ეძიებს დამშვიდებას, ნუგეშს, მისთვის ჯერ კიდევ სულ არა დაკარგულა რა.

აჰა აიღე, გამომართვი ეს ვარდები... გაიკეთე თმაში, გულზე... არა, ცოტა ზემოთ... აი ეგრე... შენ ეხლა იმ ყმაწვილ ქალებს ჰგევხარ, რომელთაც Ferruzi გვიხატავდა. იცინი? არა გჯერა? არა, სრულიათაც არ ვსტყუი. **არ ატყუებენ იმას, ვინც უყვართ**.

შენ ლამაზი ხარ, ძიელ ლამაზი... და სილამაზეზე მაღლა ხომ არაფერია ქვეყანაზე... ეს ღიმილია ყოვლად შემძლებელისა... საუკეთესო ქმნილება, საჩუქარი ბუნებისა... ის—გონიერებასა და ბოროტებაზე ძლიერია.

შეხედე, რა ღრმა, დიდი ბრჭყვიალა ცაა... როგორ სასიამოვნოდ გამოსჭვივიან ვარსკვლავები...

იცი... ეგენი ზღაპრებს ამბობენ... უნდა წმინდა სინიდისით, რწმენით უმზირო... და აი მაშინ გიამბობენ ეგენი ზღაპრებს .. ბევრს, ბევრს გეტყვიან... ამ მშვენიერ, მომჯადოებელ ლურჯ ატმოსფერაში ხომ არ გრძნობ შენ, რაღაც წმინდა, მახლობელ გრძნობს!..

ოო, ნუ წარმოიდგენ შენ, ცას უნდობელს, გაყუჩებულს, ჩუმს, ცარიელს... გიყვარდეს, იოცნებე მაგაზე, ესაუბრე მას.

ხშირად უმზირე ცას. შენ მაშინ დაიწყებ ტირილს, თბილის—სამხიარულო ცრემლებით .. კმაყოფილი და ნასიამოვნები იქნები განკერძოებით, მარტოობით, ღამით, დარდით, ჯავრით და ზმანებით... იმ წამში შეიქნები წმინდა, გაუბედავი, უბრალო... ბულ"ულის სიმღერაშიაც შენ მაშინ, რაღაც ახალს, სასიამოვნოს შეამჩნევ... ქარიც კი, გამამხიარულებელ ჰანგს ჩამოგჩურჩულებს ყურში.

ხშირად, ხშირად უმზირე ცას. ვარსკვლავები დაგავიწყებენ ყველაფერს მიწიერს.. ვარსკვლავები გასწავლიან ლოცვას. ლოცვას განა იდეაზე, განა რაღაც განყენებულ, შორეულ, უცხო რამეზე... არამედ ლოცვას, შესაგნებ, მოწყალებასა და ყველაფერ ხელმისაწვდომზე...

შეგასწავლიან ბავშვის მსგავს უბრალო ცა გაბედულ... და მომაკვდავსავით გულწრფელ და იმედებით აღსავსე ლოცვას... ხშირად უმზირე ცას. ვარსკვლავები გასწავლიან ლოცვას ..

დღეს ზღვა დამშვიდებულია, გაყუჩებული... და მასთან ისეთი მშვენიერი, რო მისი შემყურე ადამიანს ცრემლები გადმოსცვივა.

რას ამბობ? გეშინიან ზღვისა? მეც მეშინიან. არ მრწამს, არ მიყვარს...

ზღვა თავის სიდიადით გვახრჩობს, გვავიწროებს, **მაგრამ ადამიანი არას დროს არ უნდა გრძნობდეს თავის თავს პატარა არსებად, [illegible]** ეს მძიმეცაა და უსამართლოცაა. . თუ რომ შენ თავს პატივს არა სცემ: იღუპები, საჩქაროდ მიექანები უფსკრულისაკენ. ხშირად საბრალო სულელები დარბაისლურათ ამბობენ:—„მე მძაგს ჩემი თავი!" ...გაიცინე, გაიცინე იმათ სიტყვებზე. ესენი მხოლოდ, რაღაც ტეატრალები არიან... საუყოველგან, ხელოვნურ პოზის და ფრაზების გაცემის დროსაც... ესენი არიან—ნული, მხოლოთ უსაზღვრო სურვილის დამატებით კი, ხდებიან ერთგულნი, სრულნი. რატომ მაშინ არ უნდა თქვას: „მე ყველაზე ძლიერ ჩემი თავი მძაგს"?

ოო, ღმერთო! რა ტკბილი და საამური სუნი აქვთ ამ ვარდებს! შენ უნდა გიხაროდეს ეს: ამ წამში ესენი განხორციელებენ შენ. შენ ისეთი წმინდა, უცოდველი, იმედებით და მისწრაფებებით აღსავსე ხარ... **სიყმაწვილე მხოლოთ აწმყოთი სცოცხლობს**.

მიიხედე: შენ წინ მთელი სიცოცხლეა,—ცხოვრება... ფა თო გძელი გზა... ამ გზაზე არიან ქვებიც, ღელეებიც, ღრანტებიც... ალაგ-ალაგ გველებიც დასრიალობენ და თავიანთ უმსგავსო შხამით სწამლავენ ყვავილებს, მაგრამ... ნუ მიაქცევ შენ ყველა ამას ყურადღებას. ბედნიერება, უჯავრელად და უდარდელად არ მოიპოვება... **უბრძოლველად კი სიხარული არ არსებობს**... შენ კი წადი, სულ წინ, წინ, ნუ შეუხვევ ეკლიან ბილიკებზე.

ეს მხედველობის—გამჭრიახობის შეცდომაა... ეს მოტყუილებაა უბედურებისა. იმ ფიქრით, რო ჩქარა მიაღწიონ მიზანს, პირდაპირ ეხეთქებიან—ეცემიან მათ... ისინი კი იტყუებენ იმათ მთებში, სადაც მთების მწვერვალებში არეულნი, გზა-დაბნეულნი საჩქაროთ იხოცებიან.

წადი წინ, არ შეუხვიო ეკლიან ბილიკებს.

მხოლოთ უფრთხილდი ძალას... ხარჯე რაც შეიძლება ცოტ-ცოტა ძუნწად... აი მე შენ წინ ვდგევარ, დაღლილი—დაქანცული, გატეხილი... თუმცა სულ ცოტათი ვარ შენზე უფროსი. ერთბაშათ ვეხეთქებოდი ყველას, არ ვზოგავდი ჩემს თავს გზის დასაწყისში... ეხლა კი მივდივარ მასზე, ნელა... სუსტად... ვეცემი გზა-გზა... მაგრამ მაინც მივდივარ მძიმედ, უსიცოცხლოდ, უსიამოვნოდ...

ოო, ნუ მეხვევი, ნუ მანუგეშებ, ნუ მანუგეშებ, ნუ მიცქერ აგრე ნაღვლიანად... ჩემი რიგი, ჩემი სიმღერა, უკვე დასრულდა... მისი მოტივიც დიდი ხანია განქრა ხეობის წყვდიადში. მე თვითონ დავივიწყე იგი .. ეხლა შენ ჯერს ვუცდი ..

მხოლოდ დაიხსომე კარგათ: **იარე წინ და ნუ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუხვევ ეკლიან ბილიკებზე... მე სრულიადაც არ ვფიქრობ შენ დარიგებანი და ნოტაციები გიკითხო. მე მხოლოდ, აი აქ, ზღვის პირად, არა სასიამოვნო და მოსაწყენ სიტყვებს ვლაპარაკობ ჩემი საკუთარის წარსული ცხოვრების პრაქტიკიდან. მე სრულიადაც არ მინდა, რო შენი მშვენიერი, აბრეშუმის გორგალი, ნაქსოვის მაგივრად, არეულ მტვრიან ნაფლეთებად აქციო...

გახსოვდეს, რო შენ **ხორციელად უზრუნველყოფილი ხარ**... მაგაზე სხვები იზრუნვენ, მოგივლიან... მაგრამ სულიერად კი... **შენი სული შენ საკუთარ შრომას მოითხოვს**... შენი შრომის და მუშაობის ანგარიში, ადრე თუ გვიან უნდა დაამზადო- აი ამიტომაც არის, რო **ადამიანებს ასრე ეშინიანთ მოხუცებისა, დაუძლურებისა**. ეშინიანთ ანგარიშისა, შედეგებისა, სინიდისის იმ უნაყოფო ქენჯნისა, რომელიც მაჯლაჯუნასავით ზედ აწევთ, და ყოველ წამს აგონებენ, ბურუსის მსგავს, უბრალოდ გატარებულ დროს.

შენ ამჩნევ, თუ რა რიგ მძიმეა ცხოვრება, თუ რა იშვიათია ბედნიერება... მართალია... მაგრამ შენ ქალი ხარ, და ყოველი ქალი თავის სიცოცხლით კი არ უნდა სცოცხლობდეს, არამედ სხვისით,—იმისით, ვინც უყვარს...

რათ განცვიფრდი აგრე? მე ხომ ვიცი, რო შენ გიყვარს... შეყვარებული ხარ. ეს ყოველ შენ მოქმედებაში გამოსჭვივის ნათლად, ყოველ შენ მკაცრსა და მორცხვს ღიმილში, ყოველ შენ სიწითლეზე... თვალების ყოველ ნაღვლიან ჩაფიქრებაზე...

ვიცი, შენ შეყვარებული ხარ. ხო გჯერა ჩემი? გრძნობ, დარწმუნებული ხარ, რო მე შენთვის ბოროტება არ მინდა? ჰოო? აბა მაშ ყური დამიგდე: **იყავ უბრალო და სამართლიანი სიყვარულში.**

აღმოიხეთქე გულიდან იგი, ისეთივე, როგორიც, რა სახითაც გაჩნდა შენში... მხოლოთ ნუ დაეკითხები თავს, თუ სად მიდის, სად მიყევხარ, ან როდის გაქრება? მიეცი, გადაეცი იგი მთლიანი, გულწრფელი, მძლავრი... ანალიზებისაგან და ცბიერი თავმოყვარეობისაგან დაუმახინჯებელი და შემოკლებული. მიეცი სულ მთლათ შენი თავი, და ნუ ითხოვ ნურაფერს სამაგიეროს. გვყვარდეს უსამზღვროდ და წმინდათ... გიყვარდეს მეტად, ათასჯერ მეტად, ვიდრე შენ უყვარხართ. გიყვარდეს თანაბრად, სიკეთისათვისაც და ბოროტებისათვისაც... სიბედნიერებისათვისაც და ტანჯვისათვისაც... თუ აწმყოში გიღალატოს,—**გიყვარდეს წარსულისათვის**... და თუ სულ უარი სთქვას მაგგვარ გრძნობის მიღებაზე,—გიყვარდეს მაშინ, იმისთვის მაინც, რომ გამოგაცდევინა გრძნობა სიყვარულისა...

უთხარი: „შენ ხარ, პირველი და უკანასკნელი ბატონი ჩემი... სიცოცხლე და სიყვარული... აი ამაზე მეტი, მე არა მაქვს რა...

აიღე, გასტეხე, დაამსხვრიე, დაამახინჯე, გადაგდე,—თუ მოგწყინდეს, მაგრამ... აიღე მხოლოთ მაინც... შენ პირველი და უკანასკნელი ბატონი ხარ ჩემი!“

ნუ, ნუ გრცხვენია გამოტეხისაც: მიყვარს არა მარტო სული, არამედ გარეგანი კანიც, შეხედულებაც; ნუ შეგრცხვება ამ სურვილისა, რადგან სიყვარული—ჰარმონიაა, სიყვარული—მთლიანი, სრული, ერთეული... **სიყვარული ჩვენი ბუნების ყოველ ატომს უნდა აკმაყოფილებდეს.**

და აი ამგვარ სიყვარულზე მაღალი ბედნიერება არც არის. მოიგონე იტალიელი პოეტი:

„Tutto al mondo é vano—ne l'amore ogni dolcezza!“ არ დაუჯერო, თუ დაცინვით გითხრა: „მონობა“.

ისეთი წამებიც შეგხვდებიან ცხოვრებაში, როდესაც ბრძოლით დაღლილ-დაქანცული, მფარველობას მოითხოვ... ინატრებ ძლიერს, მაგარ მკლავს.

ჩვენ წინ მივდივართ... ყოველი ცხოვრების ჟამთა—ვითარება გვცვლის, მაგრამ სიყვარულში კი—ქალი ისეთივე უნდა დარჩეს, როგორიც იყო... რადგან მხოლოთ სიყვარულშია, სიყვარულის დროს არის ქალი დასრულებული, განვითარებული, უმაღლეს წერტილამდე აყვანილი... მხოლოდ მაშინ მისდევს იგი ბუნების კანონს.

არ დაიჯერო, რო სიყვარული ერთხელ მეტად, რამდ ნჯერმე შეიძლებოდეს. განა ჩვენ ერთი სული და გული არა გვაქვს? განა თანაბარის, ერთგვარის სისრულით გადასცემ შენ თავს ორჯელ?

შეგიძლიან შეხვდე მეორეს, მაგრამ როდესაც გაიფიქრებ: „ეს ისევე მიყვარს, როგორც პირველი“,—იცოდე შენ თავს თვითონვე ღალატობ...

ეს მხოლოდ განმეორება, სუსტი „ეხო“ (გამოხმაურება) იქნება პირველი გრძნობისა.

არა არ დაიჯერო მეორე სიყვარული... იგი სანამ დამთავრდეს, მოგატყუებს გიღალატებს...

ეჰ ბავშვო! ბევრი, ბევრი ბოროტებაა ქვეყანაზე... ეჩქარებიან გრძნობის ყიდვას. **სიკვდილი სჯობს კოცნის გაყიდვას**...

ყველაფერს დაივიწყებ, ყველაფერს სცემ ნუგეშს... დამშვიდდები, მაგრამ ვაჭრობის სისაზიზღრე კი თან, თან ჩაგყვება საფლავში... შეკრთი? რა გაკვირვებული მიქცერი?

ეჰ, ბავშვო... ბევრი, ძლიერ ბევრი ბოროტებაა ქვეყანაზე... სიკვდილი სჯობს კოცნის გაყიდვას...

მინდა რო, შენ იყვე მგრძნობიარე, ძლიერი. მსურს, ერიდო თავიანთ თავით დაკმაყოფილებულ „ძლიერს, ჯანსაღს“ ადამიანებს... რადგან იმათ სისაღეში პროზაიკთა სისულელე და სიდამპლეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„შეიყვარე უსხეულო“, ეძიე სიმშვენიერე და სინარნარე თვით შეუმჩნეველ საგანთა შორისაც... ბავშვის ღიმილით„ დაწყებული, —ძველ კათოლიკეთა ეკლესიის კოსტელლაში მყოფ Miserere-თი გათავებული... ეცადე გამაგრდე, შენ კერძო წყლულებზე არავის შესჩივლო .. **მაგრამ სხვის ჩივილზე კი მზად იყავ დასახმარებლად.** ადამიანები ასეა თი საცოდავები არიან!.. სასაცილოც კი იქნებოდ მათი „შეძულება... ეცადე იყო უბრალო წვრილმანებშიაც, **მართლმსაჯული და სიმართლის აღმადგენელი.** სიცრუე—ტყუილი ულმობელია, აღარ აბრუნებს იგი უკან თავის მსვერპლებს... რას ამბობ?.. დანაღვლიანდი?

ოო, ნუ შეგეშინდება დარდის, წყლულების... კაეშნისა ..

ეს—ყველგანაა, ირგვლივ; მხოლოთ ჩვენ არ გვინდა მისი გრძნობა, ძლიერ „საღები“ ·ფყღ

იცი, ერთი მხიარული მაგრამ სულელური სიმღერაა ხარაჩო ებისა... მის მღერის დროს ცეკვავენ, თამაშობენ. ამბობენ „მფოთიანი, ქიშპიანი და ძლიერიაო“, მაგრამ, აბა ყური უგდე... ოო, რამდენი გულის საკლავი ნაღველია... რა ძლიერი ხმაა სასოწარკვეთილებისა!..

გგონია რო ნაღველი, კაეშანი არ იხატება სიცილში, კოცნაში?

ამიტომაც შეხვდი მას, მიიღე კაეშანი, როგორც ღვიძლი და... მიეჩვიე, შეურიგდი მას...

კაეშანი, მწუხარება მოგვაგონებს, გვასწავლის თუ რა დღე-მოკლენი არიან ჯავრიც და მწუხარებაც.

მერე, რა სჯობია ამას? ყველაფერი წავა, გაფრინდება, მიეცემა დავიწყებას... მოიცა, იცხოვრე, გაიგე წუთისოფლისა ამაზე მეტი, რაც ეხლა იცი, და აბა მაშინ მიხვდები თუ რაოდენი ბედნიერებაა ამაში და შენც ისეთივე მოუთმენლათ დაუწყებ სიკვდილს ლოდინს... როგორც მე...

...ქარი ძლიერდება. დროა გავშორდეთ. შენ მაპატიებ რო ასე მოკლედ, გაბნეულად და გაუგებლად გელაპარაკე?!.

...გიცდიან მგონი, დროა წახვიდე... აიმ შესახვევზე მოიხედავ...

შენი სილუეტი თეთრსა და მსუბუქ ტანთსაცმელში, მშვენივრათ გამოჩნდება მწვანეულობის, ბალახის მუქსა და ბნელს სივრცეში.

...შენ იქიდან მანდილს დამიქნევ და აი მეც ვიგრძნობ ამით... შენ დაპირებას, რომ მალე არ დამივიწყებ...

იოს. შალიბაშვილი.

ბედნიერი ცოლქმრობა



ცოლი. წარმოიდგინე, ნიკო, ჩვენი ლამაზი ლიზა ამ ახალ წლიდან ისე გამოცვლილა, რომ ქმარი ვეღარა სცნობს, თურმე. არცა სჭამს და არცა სვამს, არც იხურავს და არც იცვამს, ბალებსა და ვეჩერებში აღარ დადის, ალბად უიმედოდ შეუყვარდებოდა ვინმე!

ქმარი. ახ, ნეტავ შენც აგრე უიმედოდ შეგიყვარდეს ვინმე! ერთს თავისუფლად ამოვისუნთქებდი!..

ა ფ ო რ ი ზ მ ი.

დამეთანხმეთ, დიდი სისულელე იქნებოდა, ვისმეს რომ დედაკაცის ფერხთა ქვეშ თვისი სიცოცხლე დაეფინა, მთელი თვისი თავი მისთვის მსხვერპლად შეეწირა და დედაკაცს-კი თავის მხრით მხოლოდ მოგონება-ღა დაეტოვებინა, რომ ეს ასე იყოვო.

ჟ. ტეტმაიერი.

...მე კი ქორწილში წავეთრევიო.

ივანიკა.—დოხტურ გომართელისთანა უბედური კაცი ღმერთს არ გაუჩენია!..

ნინიკა.—აბა?

ივანიკა.—დაშალეს თუ არა პირველი დუმა, შიშით სამშობლოს ველარ შემოვიდა და გადიკარგა... პარიჟში. ჩამოვიდა თუ არა ქუთაის, ჩამოცხა, და გადაკარგეს... ბორჯომში. ბორჯომში აცივდა თუ არა, კიდევ გადაკარგეს... თბილისში, უბედურია მა რაა!

რედ--გამომცემელი **ვალერიან გუნია.**

ელექტრომბეჭდავი ამხ. **„სორაპანი“** მადათოვის კუნძული სახლი მუხრანსკისა, № 1. 6 იანვარი.